სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

# პრესრელიზი

26.02.2015წ.

საკონტაქტო პირი: ეკა გაბადაძე
კომუნიკაციების მენეჯერი
ელ.ფოსტა: egabadadze@spa.ge
ტელ: 577244454

## სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ახალი ვებსაიტი

2015 წლის თებერვლიდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ახალი ოფიციალური ვებსაიტი www.procurement.gov.ge ამოქმედდა, რომელიც ინფორმაციულად კიდევ უფრო დატვირთული, მოსახერხებელი და მომხმარებელზე ორიენტიებულია.




ვებსაიტზე მთავარ ბლოკებში განთავსებული ის ელექტრონული სერვისები, რომლებიც მომხმარებელთათვის ყველაზე უფრო საჭირო და მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს, უზრუნველყოფს მომხმარებლის კომფორტულ მომსახურებას. უმთავრესი მათ შორის არის სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა, სადაც დღეისათვის რეგისტრირებულია მომხმარებლების 25 447 ჩანაწერი.

დაინტერესებულ პირებს მარტივად შეუძლიათ მოიძიონ ინფორმაცია სააგენტოს საქმიანობის, კანონმდებლობის, აუცილებელი საინსტრუქციო მასალების და მეთოდური მითითებების, სიახლეების, განხორციელებული და მიმდინარე პროექტების, მათთვის საინტერესო სერვისებისა თუ სხვა მონაცემების შესახებ.

„ახალი ვებსაიტი გამოირჩევა თანამედროვე, დახვეწილი დიზაინით, მარტივი ნავიგაციით, გადაწყვეტილია კორპორატიულ ფერებში. ყველაზე მოთხოვნადი სერვისები და მოსაძებნი დოკუმენტები თვალსაჩინო ადგილზეა განთავსებული, რაც უზრუნველყოფს მომხმარებლისათვის საჭირო ინფორმაციაზე მომენტალურ წვდომას“, - აღნიშნა სახელმწიფო

შესყიდვების სააგენტოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დირექტორმა დავით ჯაიანმა.

ვებსაიტზე, ასევე, განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ჟურნალი eNewsletter, რომელიც ონლაინ რეჟიმში მიეწოდება ათასობით მომხმარებელს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სოციალურ ქსელში Facebook-ში ბევრი მიმდევარი ჰყავს. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაზე წვდომა შესაძლებელია Facebook-ავტორიზაციის საშუალებითაც, რის შედეგად სტუმრის სტატუსით შესული მომხმარებლისგან განსხვავებით, ხელმისაწვდომი გახდება სხვადასხვა სერვისები და მოდულები.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ახალი ვებსაიტი განთავსებულია ფინანსთა სამინისტროს საფინანსო ანალიტიკური სამსახურის Ecloud (ღრუბლოვანი გამოთვლითი ტექნოლოგიები) პლატფორმაზე. ეს მოწინავე ტექნოლოგია უზრუნველყოფს სისტემის მდგრადობას, სერვისის უწყვეტობას და კიბერუსაფრთხოების მაღალ დონეს.

ამჟამად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ახალი ვებსაიტის ინგლისურენოვანი ვერსიის სრულყოფაზე მუშაობს.